

პროგრამის სახელწოდება

ლითონების შედუღება (MIG) და (MAG) გარემოში



პროგრამის სახე : მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: არ აქვს

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს ლითონების ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში სამუშაოების წარმოებას შრომის უსაფრთხოების გათვალისწინებით.

პროგრამის მოკლე აღწერა

ლითონების ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში სამუშაოების პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და შესაბამისად დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით. პროფესიული პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ. სწავლების განხორციელება შესაძლებელია ორგვარი მიდგომით:

- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში.
- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. კერძოდ, ზოგიერთი სწავლების შედეგი მიიღწევა რეალურ

სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

სწავლება განხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

**სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)
კუსდამთავრებულს შეუძლია:**

- შედულების სფეროში ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კანონმდებლობის და რეგულაციების ძირითადი ასპექტების განმარტება
- შედულების პროცესში რისკების შეფასებისა და კონტროლის განმარტება
- კონტროლის ზომები და “ბორტს მიღმა“ აღმოჩენილი ადამიანის ინციდენტის შემთხვევაში რეაგირების წესების განმარტება
- შედულების სამუშაოების პროცესში აუცილებლობით გამოწვეული პირველადი დახმარების გაწევა
- საინჟინრო მასალების სტრუქტურისა და კლასიფიკაციის განმარტება
- შედულების პროცესის შედეგების მართვის აღწერა
- მასალების დამზადებისა და შედულების პრინციპების აღწერა
- შედულების მასალების დეფექტის (წუნის) კლასიფიკაცია
- მასალების მონიშვნა დასაჭრელად
- მასალების დაჭრის პროცედურების გამოყენება შედულების პროცესთვის მზადებაში
- მაგიდასთან მუშაობის უსაფრთხო პრაქტიკის გამოყენების დემონსტრირება
- კომპონენტების მომზადება შედულების პროცესისთვის;
- მეტალის აქტიური აირით (MAG) და მეტალის პასიური აირით (MIG) შედულების ტექნიკების გამოყენება
- მეტალის აქტიური აირით (MAG) და მეტალის პასიური აირით (MIG) შედულების ტექნიკებისთვის საჭირო მოწყობილობების გამოყენება
- შედულების ადგილების შემოწმება და მათი შედარება მოთხოვნებთან

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

- შპს „ანაგი“
- შპს „ჯეო ბილდერი“

დასაქმების სფერო/სფეროები:

- ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა (ფართო სფერო)